

**შპს კეი.ი.სი. ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის წარმომადგენლობა
საქართველოში**

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.24	31.12.23
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	70 997,90	87 011,58
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	8 009 897,06	7 993 073,57
მარაგები		152 021,58	2 241,84
		8 232 916,54	8 082 326,99
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	130 321,05	187 016,52
		130 321,05	187 016,52
		8 363 237,59	8 269 343,51
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	611 721,96	865 114,74
საგადასახადო ვალდებულებები		32 012,63	-
		643 734,59	865 114,74
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(11 485 696,22)	(9 634 565,18)
რეზერვები და დაფინანსება		19 205 199,22	17 038 793,95
		7 719 503,00	7 404 228,77
		8 363 237,59	8 269 343,51

დირექტორი

შაში ბჰუმან ოჯკა

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები მომსახურებიდან	381 469,53	549 972,42
გახარჯული მასალები	(78 589,64)	(952 953,18)
სხვა შემოსავალი	2 442,92	10 754,62
დასაქმებულთა ანაზღაურება	(993 009,89)	(200 098,95)
ცვეთა და ამორტიზაცია	(59 257,00)	(58 752,98)
საპროცენტო შემოსავალი	618,58	-
იჯარის ხარჯი	(307 351,04)	(295 752,98)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(784 905,88)	(2 252 992,22)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)	(1 838 582,42)	(3 199 823,27)
არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი		
მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(12 548,62)	(84 648,35)
არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	(12 548,62)	(84 648,35)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	(1 851 131,04)	(3 284 471,62)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)	(1 851 131,04)	(3 284 471,62)
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	7 404 228,77	2 791 679,39
რეზერვები და დაფინანსება	2 166 405,27	7 897 021,00
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 719 503,00	7 404 228,77

დირექტორი

შაში ბჰუშან ოჯა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კეი.ი.სი. ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის წარმომადგენლობა საქართველოში (ს/ნ 404384929, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2010 წლის 19 ივლის. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქუჩა გაზაფხული, N39.

კომპანიის დირექტორია: შაში ბჰუშან ოჯა (პ/ნ 01797001718).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაღალი ძაბვის ელექტრო გადამყვანი ხაზების მონტაჟი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.24	31.12.23
ნაღდი ფული	1 325,85	-
დული ბანკში	69 672,05	87 011,58
	70 997,90	87 011,58

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.24	31.12.23
მყიდველები	1 613 492,80	1 388 739,10
მოთხოვნები პერსონალისადმი	887,08	-
გადახდილი ავანსები	5 022 987,58	5 185 239,72
გადასახდები	-	46 565,15
საგარანტიო თანხები	1 372 529,60	1 372 529,60
	8 009 897,06	7 993 073,57

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.23	წმინდა ცვლილება	31.12.24
ისტორიული ღირებულება			
მცირეფასიანი ინვენტარი	33 509,52	-	33 509,52
მანქანა-დანადგარები	404 653,50	-	404 653,50
საოფისე ტექნიკა	23 679,41	-	23 679,41
ავეჯი და ინვენტარი	147 260,32	2 561,53	149 821,85
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	745,76	-	745,76
არამატერიალური აქტივები	180,47	-	180,47
	610 028,98	2 561,53	612 590,51
აკუმულირებული ცვეთა			
მცირეფასიანი ინვენტარი	(33 337,27)	(172,25)	(33 509,52)
მანქანა-დანადგარები	(282 893,96)	(40 329,33)	(323 223,29)
საოფისე ტექნიკა	(13 074,46)	(3 304,82)	(16 379,28)
ავეჯი და ინვენტარი	(93 526,30)	(15 376,02)	(108 902,32)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	(74,58)	(74,58)
არამატერიალური აქტივები	(180,47)	-	(180,47)
	(423 012,46)	(59 257,00)	(482 269,46)
საბალანსო ღირებულება			
მცირეფასიანი ინვენტარი	172,25	(172,25)	(0,00)
მანქანა-დანადგარები	121 759,54	(40 329,33)	81 430,21
საოფისე ტექნიკა	10 604,95	(3 304,82)	7 300,13
ავეჯი და ინვენტარი	53 734,02	(12 814,49)	40 919,53
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	745,76	(74,58)	671,18
არამატერიალური აქტივები	-	-	-

187 016,52

(56 695,47)

130 321,05

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.24	31.12.23
მომწოდებლები	255 955,78	316 609,72
ვალდებულებები პერსონალისადმი	-	1 044,74
მიღებული ავანსები	355 766,18	547 460,28
	611 721,96	865 114,74



